საქართველოს მთავრობის

დადგენილება №482

2018 წლის 5 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტების: „ალგეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კოლხეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორუღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესისა“ და „თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტების: „ალგეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „კოლხეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორუღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესისა“ და „თეთრობის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/01/2014, 300160070.10.003.017703) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. ტექნიკური რეგლამენტის – მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის (დანართი 5):

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის რეგულირების სფერო

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი არეგულირებს მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის 1022.5 ჰა ფართობის ფარგლებში არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებს.“;

ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიის მდებარეობა და საერთო ფართობი

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია განსაზღვრულია „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით, საერთო ფართობით – 1022.5 ჰა და მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, ცივგომბორის მთების სამხრეთ კალთებზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.“.

2. ტექნიკური რეგლამენტის – ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის (დანართი 6):

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის რეგულირების სფერო

ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი არეგულირებს ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებში 8685,34 ჰექტარ ფართობზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების საკითხებს.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია მოიცავს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას, საერთო ფართობით – 8685,34 ჰა-ს.“;

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის საერთო ფართობი შეადგენს 2968.34 ჰა ტერიტორიას, რომელიც მოიცავს №2 კვარტალის მე-5 უბანსა და №5, №6, №10, №11, №14, №18, №26, №27, №28, №29, №30, №32, №33, №34, №35, №36, №38, №41, №42, №44, №45, №49, №57, №58 კვარტალებს.“;

დ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ.გ“ ქვეპუნქტი:

„ვ.გ) ტურისტული ინფრასტრუქტურის პარამეტრი: სიმაღლე – არანაკლებ 2 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 6მ-ისა;“.

3. ტექნიკური რეგლამენტის – გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის (დანართი 7):

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარდაბნის აღკვეთილი მოიცავს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას, საერთო ფართობით – 3733.7 ჰა-ს.“;

ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარდაბნის აღკვეთილის მართვადი დაცვის ზონის საერთო ფართობი შეადგენს 436.4 ჰა ტერიტორიას და მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	509451.7	4578528	11	501729	4591566	21	500837	4588944	31	501534	4591666
2	501037	4591136	12	501997	4591223	22	500804	4589242	32	501842	4591412

3	501076	4591206	**13**	502069	4591205	**23**	500797	4589542	**33**	502175	4590962
4	501104	4591369	**14**	502077	4591102	**24**	500819	4589841	**34**	502176	4590675
5	501028	4591448	**15**	502208	4590838	**25**	500885	4590132	**35**	502216	4590390
6	501042	4591523	**16**	502209	4590903	**26**	500962	4590418	**36**	509166.2	4579074
7	501073	4591491	**17**	502162	4590555	**27**	501077	4590696	**37**	501253.1	4591699
8	501086	4591538	**18**	502339	4590080	**28**	501138	4590982	**38**	507624	4577269
9	501049	4591607	**19**	501001	4588482	**29**	501076	4591229	**39**	507911.7	4576710.“;
10	501322	4591774	**20**	500916	4588655	**30**	501114	4591645			

გ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციისთვის (რეაბილიტაციისთვის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, წესის 27^3 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.“;

დ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გარდაბნის აღკვეთილის ტრადიციული გამოყენების ზონა შეადგენს 3103,4 ჰექტარს და მოიცავს გარდაბნის აღკვეთილის ტერიტორიის იმ დარჩენილ ნაწილს, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ წესის დანართი 7-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით.“.

4. ტექნიკური რეგლამენტის – ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის (დანართი 10):

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ფართობი შეადგენს 316.4 ჰექტარს.“;

გ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქობულეთის აღკვეთილის ფართობი შეადგენს 466.3 ჰექტარს.“.

5. ტექნიკური რეგლამენტის – ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის (დანართი 13):

ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ივრის აღკვეთილის ტერიტორიის მდებარეობა და საერთო ფართობი

ივრის აღკვეთილის ტერიტორია განსაზღვრულია „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით, საერთო ფართობით – 2126.8 ჰა და მდებარეობს საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდ. იორის ხეობაში.“;

ბ) მე-5 და მე-6 მუხლები ამოღებულ იქნეს;

გ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ივრის აღკვეთილის ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული საქმიანობა

1. ივრის აღკვეთილი შექმნილია გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა, მათ შორის, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობათა დაცვისა და ადამიანის მხრიდან სპეციალური მოვლისა და აღდგენა-განახლებითი ღონისძიებების ჩატარებისათვის.

2. ივრის აღკვეთილის ტერიტორიაზე „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

გ) ტყის ეკოსისტემების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ვ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით, შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვება;

ზ) დაცვის, ტურისტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის შექმნა და მოწყობა;

თ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობა და ცხოველთა სამყაროს აღდგენის მიზნით, ვოლიერების მოწყობა;

ი) სტიქიური უბედურებების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ტრადიციული გამოყენების ზონის ტერიტორიაზე ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება;

კ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

ლ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა;

მ) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილება;

ნ) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება;

ო) გზების მოვლა, ბილიკების მოვლა და მოწყობა;

პ) სამოყვარულო და სპორტული თევზაობა;

ჟ) ივრის აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არამერქნული რესურსებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა. სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა არაუმეტეს 5 m^3 საშეშე მერქნისა), ძოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია. ცხოველთა სამყაროსათვის დამატებითი საკვების შექმნის მიზნით, ხვნა-თესვა და საკვებური მოედნის მოწყობა, თიბვა, საფუტკრეების მოწყობა, სადაც სკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 ძირს, სოკოს, ხილ-კენკრის შეგროვება,

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობა, ამავე წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციისთვის (რეაბილიტაციისთვის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება, წესის 27^3 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა;

რ) ივრის აღკვეთილის ტერიტორიაზე მოწყობილ სამონადირეო მეურნეობაში დაშვებულია ნადირობა, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მკაცრი კონტროლის პირობებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოხმარების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ივრის აღკვეთილის ძირითადი მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი ხელის შემწყობი პირობები. სოციალური ჭრის ჩატარებისას უპირატესად უნდა გაიცეს მოთხრილ-მოტეხილი, დაავადებული და ზეხმელი ხეები.

4. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 2^1 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, დაშვებულია მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა.“.

მუხლი 2

იმ დაცულ ტერიტორიებზე, რომლებზეც არ არის დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა და/ან ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტებით სარგებლობაზე, მოვლა-პატრონობაზე, მათი ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან/და დემონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების, მათ შორის, მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების განხორციელებაზე, აგრეთვე „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღება), ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**